საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
განკარგულება

2019 წლის 26 მარტი N 25

ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებისა და სესხების უზრუნველყოფაში მისაღები აქტივების თანაფარდობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2019 წლის 13 მარტის N4 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მისაღები სასესხო ფასიანი ქაღალდის ემიტენტის მინიმალურ რეიტინგად განისაზღვროს შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული საჯაროდ ხელმისაწვდომი რეიტინგებიდან ყველაზე დაბალი რეიტინგი: Standard & Poors (S&P), Moody’s, Fitch და Scope Ratings.

2. დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და მათზე დარიცხული პროცენტის და/ან დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფ აქტივებთან შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მისაღები სესხის უზრუნველყოფის სახეობა	სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი		რეფინანსირების სესხის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის. ერთდღიანი სესხის და მათზე დარიცხული პროცენტის, და/ან დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების ნომინალურ ღირებულებასთან აქტივების ნარჩენი ვადიანობის (წელი) მიხედვით			კოდი საქართველოს ფასიანი ქაღალდებს ანგარიშსწორების სისტემაში (GSSS)
		S&P, Fitch და Scope Ratings შკალა	Moody's შკალა	2 წლამდე	2 წლიდან 5 წლამდე	5 წელი და მეტი	
1	საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	-	-	95%	95%	95%	A1
2	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	AAA, AA+, AA, AA-	Aaa, Aa1, Aa2, Aa3	95%	95%	95%	A1
		A+, A, A-, BBB+, BBB	A1, A2, A3, Baa1, Baa2	90%	90%	90%	A2
3	„ფასიანი ქაღლდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო განთავსების გზით და 2018 წლის 1 იანვრამდე კერძო განთავსებით გზით რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები	AAA ≤ BBB-	AAA ≤ Baa3	90%	85%	80%	B1
		BB+ ≤ BB-	Ba1 ≤ Ba3	85%	80%	75%	B2
		B +	B1	80%	75%	70%	B3
4	კომერციული ბანკების სასესხო აქტივები	-	-	80%	80%	80%	C1
5	უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	80%	80%	80%	D1

3. საქართველოს ეროვნულ ბანკში უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაოს მარჟის მოთხოვნის ამოქმედების ნიშნული განისაზღვროს +/- 10%-ის ოდენობით.

4. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების, ერთთვიანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და დღის შიდა სესხის უზრუნველყოფად მისაღები კომერციული ბანკების სასესხო აქტივების მაქსიმალური მოცულობა თითოეული ბანკისთვის განისაზღვროს არაუმეტეს დაგირავების წინა საბანკო დღის მდგომარეობით კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები და სახელმწიფო ობლიგაციები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები) 35%.

5. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მიღების მიზნით განსაზღვრულ ემიტენტებად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

6. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო განთავსების გზით და 2018 წლის 1 იანვრამდე კერძო განთავსებით გზით რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში არ მიიღება თითოეული კომერციული ბანკიდან ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებული თითოეული სასესხო ფასიანი ქაღალდების:
   ა) 30%-ზე მეტი ოდენობა 2019 წლის 1 სექტემბრამდე;
   ბ) 25%-ზე მეტი ოდენობა 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

7. 2019 წლის 1 აპრილამდე საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების გირაოში მისაღებად აღიარებული Standard & Poors (S&P), Fitch და/ან Scope Ratings საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების რისკ რეიტინგის შკალის მიხედვით B და/ან B- რეიტინგის მქონე ემიტენტების მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების გირაოში გამოყენება შესაძლებელია ამ განკარგულების ამოქმედებამდე არსებული წესით მათ სრულ დაფარვამდე.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებისა და სესხების უზრუნველყოფაში მისაღები აქტივების თანაფარდობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის N143 განკარგულება.

9. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

კობა გვენეტაძე